საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

MES 9 22 0001359642

26/10/2022

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიულ ი გადამზადების პროგრამაზე ,,ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ მსმენელთა მიღების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ,,პროფესიული განათლების შესახებ“ კანონის, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში-თესაუ) წესდების მე-14 მუხლის, ,,თესაუ-ს პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ“ თესაუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 15 ივლისის დადგენილების (ოქმი №16), პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ დამტკიცების შესახებ თესაუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 16 თებერვლის დადგენილების (ოქმი №4), ,,სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის ,,ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2022 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილების (წერილი # MES 9220001249527), ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე საგრანტო პროექტის „ლაბორატორიული ჯანმრთელობის და უსაფრთხოების უწყვეტი განათლების (LLL) კურსები ახალგაზრდებისათვის აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში“ (საგრანტო ხელშეკრულება ENI/2022/417-316) კოორდინატორის ნინო ინასარიძის წერილისა და პროექტის დოკუმენტების, ,,თესაუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ პირველი 50 მსმენელის გადამზადების განხორციელებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ თესაუ-ს

წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 21 ოქტომბრის დადგენილების (ოქმი №3) და უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის გვანცა ბერუაშვილის სამსახურებრივი ბართის (25/10/2022წ; N 1355659) საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს მსმენელთა მიღება (პირველ ნაკადზე -20 მსმენელი) თესაუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამაზე - ,,ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“, დანართი №1-ის შესაბამისად (დანართი N1 თან ერთვის წინამდებარე ბრძანებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს).

2. პროფესიული გადამზადების პროგრამაზე სწავლის მსურველთა რეგისტრაცია განხორციელდეს 2022 წლის 27 ოქტომბრიდან 29 ოქტომბრის ჩათვლით, ელექტრონულად, შემდეგ ვებ-გვერდზე: **http://vet.emis.ge** (რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საკითხზე კონსულტაციისათვის დაინტერესებული პირები დაუკავშირდნენ თესაუ-ს პროფესიული განათლების ცენტრს, მობ: 571 118 081).

3. თესაუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამაზე - ,,ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ რეგისტრირებულმა აპლიკანტებმა 2022 წლის 30 ოქტომბრიდან 31 ოქტომბრის 15:00 საათის ჩათვლით თესაუ-ს პროფესიული განათლების ცენტრის ელექტრონულ ფოსტაზე - **vocational@tesau.edu.ge** უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (პროგრამაზე დაშვების წინაპირობის შესაბამისად).

4. განისაზღვროს დადგენილ ვადაში დარეგისტრირებულ აპლიკანტთა შეფასების (გასაუბრების) ადგილი და თარიღი დანართი №2-ის შესაბამისად (დანართი N2 თან ერთვის წინამდებარე ბრძანებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს).

5. თესაუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამაზე - ,,ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ აპლიკანტთა შეფასების (გასაუბრება) და შეფასების პროცესის ადმინისტრირების მიზნით, შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) თესაუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი მაგდა დავითაშვილი (კომისიის თავმჯდომარე);

ბ) თესაუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ასისტენტ-პროფესორი დარეჯან მარგალიტაშვილი (წევრი, კომისიის მდივანი);

გ) თესაუ-ს აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ლალი ელანიძე (წევრი);

დ) ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის კახეთის განყოფილების ექიმი ლაბორანტი მარიამ ლეკიაშვილი (წევრი);

ე) თესაუ-ს პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი გვანცა ბერუაშვილი (წევრი).

6. უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ აპლიკანტების დოკუმენტაცია გადაიგზავნილ იქნეს უნივერსიტეტის კანცელარიაში, აპლიკანტების გასაუბრებაზე დაშვების მიზნით, 2022 წლის 31 ოქტომბრის 16:00 საათის ჩათვლით;

7. თესაუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამაზე - ,,ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ შეფასება (გასაუბრება) ჩატარდეს 2022 წლის 01 ნოემბერს, 11:00 სთ-დან 17:00 სთ-მდე;

8. თესაუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამაზე - ,,ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ ჩარიცხვის უფლებამოპოვებულმა პირებმა პროფესიული განათლების ცენტრში (ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. №1, I კორპუსი, ოთახი 113), 2022 წლის 02 ნოემბრიდან 03 ნოემბრის ჩათვლით, **მატერიალური სახით** უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) განცხადება თესაუ-ს რექტორის სახელზე;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (დედანთან ერთად);

გ) პროფესიული გადამზადების პროგრამით - ,,ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ განსაზღვრული წინარე განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

დ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირებისათვის);

ე) 1 ფერადი ფოტოსურათი (3x4);

9. პროფესიული გადამზადების პროგრამაზე - ,,ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება" ცარიცხვის უფლებამოპოვებულ პირთან ხელშეკრულებები გაფორმდეს 2022 წლის 02 ნოემბრიდან 03 ნოემბერს;

10. დაევალოს უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს პროფესიული გადამზადების პროგრამაზე - ,,ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“, მსმენელების ჩარიცხვის მიზნით, ინფორმაციის გადაგზავნა უნივერსიტეტის კანცელარიაში, 2022 წლის 04 ნოემბრის ჩათვლით;

11. პროფესიული გადამზადების პროგრამაზე - ,,ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ ჩარიცხული პირველი ნაკადის მსმენელებისთვის სწავლა დაიწყოს 2022 წლის 07 ნოემბერს და დასრულდეს 2022 წლის 04 დეკემბერს;

12. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას წინამდებარე ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საინფორმაციო
დაფაზე;

13. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს (ნ. კახაშვილს) წინამდებარე
ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;

14. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრს;

15. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;

16. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

17. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში,
თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N 41).

სსიპ –იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორი
ირმა შიოშვილი